

საბანკო მომსახურების კვლევა ადგილობრივი ბაზრის მაგალითზე

მარიამ დათაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საბანკო და საფინანსო საქმეში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ხელმძღვანელი: დავით ხაჩიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ დათაშვილი

თარიღი: 12.02.2022

აბსტრაქტი

ქვემოთ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს საბანკო მომსახურების კვლევას ადგილობრივი ბაზრის მაგალითზე, რომლის ფარგლებშიც განხილულია რიგი თეორიული და პრაქტიკული მასალები.

თეორიული ნაწილის ფარგლებში წარმოდგენილია საბანკო სექტორის მიმოხილვა ზოგად ჭრილში, რაც ითვალისწინებს საბანკო-საკრედიტო სისტემის არსისა და როლის მიმოხილვას ეკონომიკასთან მიმართებაში. სამაგისტრო ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოში საბანკო სექტორის განვითარების ისტორიული ასპექტები და ძირითადი ეტაპები.

ამავდროულად მიმოვიხილავ კომერციული ბანკების ბაზარს საქართველოში, რომლის პირველი ნაწილიც გულისხმობს ძირითადი საბანკო პროდუქტებისა თუ რეგულაციების შეფასებას, ხოლო მეორე ნაწილის ფარგლებში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები საბანკო სექტორთან მიმართებაში.

მომხმარებელთა კვლევა წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავის ძირითად ნაწილს, რომლის ფარგლებშიც გამოკითხულ იქნა 100 რესპოდენტი, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მომსახურების ხარისხისა და აღნიშნული მიმართულებით ზოგადი ტენდენციების დადგენის კუთხით.

კვლევის შედეგები გადმოცემულია დასკვნით ნაწილში, სადაც შევიმუშავე გამოვლენილი პრობლემებისა თუ სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რეკომენდაციები კომერციულ ბანკებთან მიმართებაში.

Abstract

The following master thesis includes a banking service study on the example of the local market, which discusses a number of theoretical and practical materials:

The theoretical part presents an overview of the banking sector in general, which provides an overview of the essence and role of the banking-credit system in relation to the economy, as well as the historical aspects and main stages of the development of the banking sector in Georgia.

At the same time, we review the market of commercial banks in Georgia, the first part of which involves the assessment of major banking products or regulations, and the second part presents statistical data on the banking sector.

Consumer research is the main part of the second chapter of the master's thesis, in which 100 respondents were interviewed in terms of the quality of service and the general trends in this area in terms of research objectives.

The results of the study are presented in the final part, where i have developed recommendations for commercial banks based on the identified problems or various circumstances.